საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №9/ნ

2026 წლის 24 მარტი

ქ. თბილისი

„ფსიქოტროპული მედიკამენტებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოსაწერი ფორმა №2 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 8 აპრილის №01-31/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ფსიქოტროპული მედიკამენტებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოსაწერი ფორმა №2 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 8 აპრილის №01-31/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 08/04/2022; 470230000.22.035.016960) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართის („ფსიქოტროპული მედიკამენტებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოსაწერი ფორმა №2 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესი“):

ა) მე-3 მუხლს მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1-9^4 პუნქტები:

„9^1. რეცეპტის გამომწერი ექიმი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს, რომ პაციენტზე გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის სადღეღამისო დოზა არ აღემატებოდეს ამ ფარმაცევტული პროდუქტის ინსტრუქციით დადგენილ მაქსიმალურ დღიურ დოზას;

ბ) სამედიცინო დოკუმენტაციაში ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის კონკრეტულად დაასაბუთოს ფარმაცევტული პროდუქტის დანიშვნის აუცილებლობა;

გ) სრულწლოვანი პაციენტის შემთხვევაში ერთჯერადად არ გამოწეროს ფარმაცევტული პროდუქტის 14 სადღეღამისო დოზაზე მეტი, ხოლო 18 წლამდე ასაკის პაციენტის შემთხვევაში – 30 სადღეღამისო დოზაზე მეტი;

დ) თითოეულ ფარმაცევტულ პროდუქტზე (აქტიურ ნივთიერებაზე) ახალი რეცეპტი გამოწეროს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს დარჩენილი აქვს იმავე ფარმაცევტული პროდუქტის (აქტიური ნივთიერების) არაუმეტეს 5 სადღეღამისო დოზის მარაგი;

ე) არ გამოწეროს რეცეპტი, თუ ელექტრონულ სისტემაში პაციენტს პარალელურად უფიქსირდება სხვა ექიმის მიერ გამოწერილი იგივე ფარმაცევტული პროდუქტის (აქტიური ნივთიერების) რეცეპტი და 5 სადღეღამისო დოზაზე მეტი მარაგი;

ვ) ფარმაცევტული პროდუქტის (აქტიური ნივთიერების) დოზის ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში, გამოწეროს ახალი რეცეპტი, უკვე გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობის გათვალისწინებით და ამ პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების მხედველობაში მიღებით.

9 . რეალიზებული ფარმაცევტული პროდუქტის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, ექიმი უფლებამოსილია, პაციენტის/მისი კანონიერი წარმომადგენლის/მინდობილობით აღჭურვილი პირის წერილობითი ახსნა-განმარტების საფუძველზე, გამოწეროს დაკარგულ/დაზიანებულ/განადგურებულ ფარმაცევტულ პროდუქტზე (აქტიურ ნივთიერებაზე) რეცეპტი ყოველდღიურად, 1 სადღეღამისო დოზის ოდენობით (უქმე და დასვენების დღეების გათვალისწინებით, შესაძლებელია, გამოიწეროს შესაბამისი რაოდენობის დოზა მომდევნო სამუშაო დღის დოზამდე), მაგრამ არაუმეტეს დაკარგული/დაზიანებული/განადგურებული ფარმაცევტული პროდუქტის (აქტიური ნივთიერების) ჯამური რაოდენობისა.

9^3. პაციენტის/კანონიერი წარმომადგენლის/მინდობილობით აღჭურვილი პირის მიერ რეცეპტის საფუძველზე რეალიზებული ფარმაცევტული პროდუქტის განმეორებით დაკარგვის/დაზიანების/განადგურების შემთხვევაში, ექიმს წერილობით ახსნა-განმარტებასთან ერთად, უნდა წარედგინოს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

9^4. ამ მუხლის 9^2 და 9^3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას, ექიმი/სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს სამინისტროს, პაციენტის ვიზიტიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.“.

ბ) მე-4 მუხლს მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 პუნქტი:

„9^1. რეალიზატორს არ აქვს უფლება ერთი რეცეპტის ფარგლებში გასცეს ფარმაცევტული პროდუქტი სრულწლოვანი პაციენტის შემთხვევაში 14 სადღეღამისო დოზაზე მეტი, ხოლო 18 წლამდე ასაკის პაციენტის შემთხვევაში – 30 სადღეღამისო დოზაზე მეტი.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

მიხეილ სარჯველაძე